

დანართი I
მოხსენიებული თავში 2 (საქონლით ვაჭრობა)

2.4 მუხლთან დაკავშირებული განრიგი (საბაჟო გადასახადების გაუქმება)

ნაწილი 1
ძირითადი შენიშვნები

1. ეს დანართი ეფუძნება ჰარმონიზებულ სისტემას, 2012 წლის 1 იანვარის შესწორებით.
2. ამ დანართის მიზნებისთვის, ტერმინი „საბაჟისო განაკვეთი“, როგორც ეს მითითებულია თითოეული მხარის განრიგის მე-3 სვეტში, ნიშნავს საბაჟო გადასახადების შემცირების ათვლის წერტილს.
3. თანაბარი ყოველწლიური შემცირების განხორციელების მიზნით:
 - (a) პირველ წელს შემცირება უნდა მოხდეს ამ შეთანხმების ძალაში შესვლის დღიდან; და
 - (b) მომდევნო ყოველწლიური შემცირებები უნდა მოხდეს ყოველი მომდევნო წლის 1 იანვარს.
4. ამ დანართის მიზნებისათვის, ტერმინი "წელი" ნიშნავს, პირველ წელთან მიმართებაში, პერიოდს ამ შეთანხმების ძალაში შესვლის თარიღიდან მომდევნო წლის პირველ იანვრამდე, და ყოველ მომდევნო წელთან მიმართებაში, თორმეტთვიან პერიოდს, რომელიც იწყება ამ წლის პირველ იანვარს.
5. თუ კონკრეტულ საქონელზე თავისი უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის საფუძველზე ტარიფების გაუქმებისა და შემცირების შედეგად უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმით მოქმედი განაკვეთი გახდება თავი 2-ის (საქონლით ვაჭრობა) 2.4.1 მუხლის (საბაჟო გადასახადების გაუქმება) შესაბამისად წარმოშობის მქონე საქონელზე, რომელიც კლასიფიცირებულია იგივე სატარიფო ხაზის ქვეშ როგორც კონკრეტული საქონელი, მოქმედი საბაჟო გადასახადზე ნაკლები, ორივე მხარე გამოიყენებს ნაკლებ განაკვეთს წარმოშობის მქონე საქონელთან მიმართებაში.

ნაწილი 2
ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის განრიგი

სექცია A
შენიშვნები ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის გამრიგისთვის

1. შესაბამისობა ეროვნულ სატარიფო ნომენკლატურასთან. ამ დანართის ნაწილი 2-ის B სექციაში მოცემული საგნები ეყრდნობა ჩინეთის 2015 წლის პირველი იანვარს მოქმედ ეროვნულ სატარიფო ნომენკლატურას. შემდგომი ცვლილებები ნომენკლატურაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში, გავლენას არ იქონიებს პრეფერენციული სატარიფო განაკვეთის გამოყენებაზე.
2. საბაჟო გადასახადის საბაზისო განაკვეთი. ამ განრიგში მოცემული საბაჟო გადასახადის საბაზისო განაკვეთი გამოხატავს 2015 წლის პირველი იანვარს მოქმედ ჩინეთის უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის (MFN) განაკვეთებს.
3. ეტაპობრიობა. შემდგომი ეტაპობრივი კატეგორიები ეხება ჩინეთის მიერ საბაჟო გადასახადების გაუქმებას თავი 2-ის (საქონლით ვაჭრობა) მუხლი 2.4.1-ის (საბაჟო გადასახადების გაუქმება) მიხედვით:
 - (a) კატეგორია “A” – საბაზისო განაკვეთი უნდა გაუქმდეს და განისაზღვროს ნულით ქართული წარმოშობის მქონე პროდუქტებისთვის შეთანხმების ძალაში შესვლის შემდეგ.
 - (b) კატეგორია “B” – საბაზისო განაკვეთი უნდა გაუქმდეს და განისაზღვროს ნულით ქართული წარმოშობის მქონე პროდუქტებისთვის ხუთ (5) თანაბარ ეტაპად ამ შეთანხმების ძალაში შესვლიდან.
 - (c) კატეგორია “C” – ქართული წარმოშობის მქონე პროდუქტისთვის მოქმედებს გადასახადის საბაზისო განაკვეთი.
4. საბაჟო გადასახადის საბაზისო განაკვეთი და ეტაპობრივი კატეგორია განსაზღვრულია ამ დანართის ნაწილი 2-ის B სექციაში (ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის განრიგი) მოცემულ საგნებზე.

ნაწილი 3
საქართველოს განრიგი

სექცია A
შენიშვნები საქართველოს განრიგთან დაკავშირებით

1. შესაბამისობა ეროვნულ სატარიფო ნომენკლატურასთან. ამ დანართის ნაწილი 3-ის B სექციაში მოცემული საგნები განსაზღვრულია საქართველოს ეროვნული სატარიფო ნომენკლატურით, 2016 წლის 22 ივლისის კონსოლიდირებული ვერსიით. შემდგომი ცვლილებები ნომენკლატურაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში, გავლენას არ იქონიებს პრეფერენციული სატარიფო განაკვეთის გამოყენებაზე.
2. საბაჟო გადასახადის საბაზისო განაკვეთი. ამ განრიგში მოცემული საბაჟო გადასახადის საბაზისო განაკვეთი გამოხატავს 2015 წლის პირველ იანვარს მოქმედ საქართველოს უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის (MFN) განაკვეთებს.
3. ეტაპობრიობა. შემდგომი ეტაპობრივი კატეგორიები ეხება საქართველოს მიერ საბაჟო გადასახადების გაუქმებას მეორე თავის (საქონლით ვაჭრობა) მუხლი 2.4.1-ის (საბაჟო გადასახადების გაუქმება) მიხედვით:
 - (a) კატეგორია “A” – საბაზისო განაკვეთი უნდა გაუქმდეს და განისაზღვროს ნულით ჩინური წარმოშობის მქონე პროდუქტებისთვის შეთანხმების ძალაში შესვლის შემდეგ; და
 - (b) კატეგორია “C” – ჩინური წარმოშობის მქონე პროდუქტისთვის მოქმედებს გადასახადის საბაზისო განაკვეთი.
4. საბაჟო გადასახადის საბაზისო განაკვეთი და ეტაპობრივი კატეგორია განსაზღვრულია ამ დანართის ნაწილი 3-ის B სექციაში (საქართველოს განრიგი) მოცემულ საგნებზე.